

ETHNIC AND LINGUISTIC IDENTITY OF THE BATSBI (TSOVA-TUSH) LIVING
IN ZEMO ALVANI

ზემო ალვანში მცხოვრები ბაცბების (წოვა-თუშების) ეთნიკური და ენობრივი
იდენტობა

Tea Gigitashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Institute of Caucasology, PhD student,
1 Ilia Tshavtchavadze Avenue, 0179 Tbilisi, Georgia,
+ 995 577 97 32 09, tea.gigitashvili@hum.tsu.edu.ge
<https://orcid.org/0009-0001-5607-0396>

Abstract: The Batsbi, or Tsova-Tush, present an interesting picture in the context of Georgia's socio-cultural diversity. They are a small, unique ethnic group that has integrated into Georgian society while retaining some signs of ethnic identity.

Today, the Batsbe are considered a fully fledged Georgian ethnos, although their linguistic and cultural history confirms that they originally belonged to another ethnic group. Their integration into Georgian society is not unusual in the Caucasus, where ethnic groups have often undergone linguistic and cultural transformations over time.

Most scholars believe that the Tsova-Tush are ethnically of North Caucasian origin, although they have been integrated into the historical and cultural space of Georgia since the Middle Ages.

Batsbi, Bats or **Tsovatush**, is an unwritten language of the **Nakhi** group of the **Nakh-Dagestanian** language family. This language is spoken by the Tsova-Tush people of the village of Zemo Alvani, Akhmeta district, Georgia, about 300-400 people. The Batsbi people who live in this village are bilinguals.

The **Tsova-Tush (Batsbi)** language is classified by **UNESCO** as an endangered language. This means that it has almost no native speakers and requires special efforts to preserve it.

Unfortunately, the Batsbi language is gradually losing its role as a community language and is fast becoming an endangered minority language.

The Tsova-Tush have almost lost their language, but not their cultural identity - today the Tsova-Tush speak Georgian, although old traditions are still alive in their way of life and folklore. The Tsova-Tush are a unique example of how a small ethnic group can integrate into Georgian society and still retain elements of their cultural identity.

Although there are differences of opinion among scientists about the Tsova-Tush: who are they? Are they local residents or migrants? Did they really migrate from the North Caucasus (Ingusheti)? When did their migration occur?.. The most common theory in scientific circles is that the Tsova-Tush migrated from the North Caucasus, but became part of Georgian culture.

The exact time of their migration is unknown, but it is likely that it took place in the Middle Ages (X-XII centuries).

Over time, the Batsbi completely assimilated with Georgians and today consider themselves Tushes.

Key words: An Endangered language; Ethnic and linguistic identity; A minority language; Family language.

თეა გიგიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის
ინსტიტუტის დოქტორანტი,
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1, 0179, საქართველო,
+ 995 577 97 32 09, tea.gigitashvili@hum.tsu.edu.ge
<https://orcid.org/0009-0001-5607-0396>

აბსტრაქტი. ბაცბები ანუ წოვა-თუმები საინტერესო სურათს გვამღვს საქართველოს სოციოკულტურული მრავალფეროვნების კონტექსტში. ისინი წარმოადგენენ მცირე ეთნიკურ, უნიკალურ ჯგუფს, რომელიც შეერწყა ქართულ საზოგადოებას, თუმცა დღემდე შეინარჩუნა ეთნიკური თვითმყოფადობის ზოგიერთი ნიშანი.

დღეს ბაცბები მთლიანად ქართული ეთნოსის ნაწილად განიხილებიან, თუმცა მათი ენობრივი და კულტურული ისტორია ადასტურებს, რომ ისინი თავდაპირველად სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ. მათი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში არც ისე იშვიათი შემთხვევაა კავკასიის კონტექსტში, სადაც ეთნიკური ჯგუფები დროთა განმავლობაში ხშირად ენობრივ და კულტურულ ტრანსფორმაციას განიცდიდნენ.

მეცნიერთა უმეტესობის აზრით, წოვა-თუმები ეთნიკურად ჩრდილოკავკასიელი წარმოშობის ხალხია, თუმცა საქართველოს ისტორიულ და კულტურულ სივრცეში ინტეგრირებულან ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან.

ბაცბური, ანუ **წოვათუმური** ენა, **ნახურ-დადესტნურ** ენათა ოჯახის **ნახური ჯგუფის** უმწერლობო ენაა. ამ ენაზე საუბრობენ საქართველოში ახმეტის რაიონის სოფ. **ზემო ალვანში** მცხოვრები წოვა-თუმები, დაახლოებით 300-400 ადამიანი. ამ სოფელში მცხოვრები ბაცბები ბილინგვალეები არიან.

წოვა-თუმური (ბაცბური) ენა იუნესკოს კლასიფიკაციით სერიოზული საფრთხის ქვეშ მყოფ ენად ითვლება. ეს ნიშნავს, რომ მას თითქმის აღარ ჰყავს მშობლიურ ენაზე მოსაუბრენი და მისი გადარჩენა განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს.

სამწუხაროდ, ბაცბური ენა თანდათან კარგავს სათემო ენის როლსაც და სწრაფი ტემპით ხდება **განღვეადი ე. წ. მინორიტარული ენა**.

წოვა-თუმებმა ენა თითქმის დაკარგეს, მაგრამ არ დაუკარგავთ კულტურული თვითმყოფადობა – დღეს ბაცბები ქართულად საუბრობენ, თუმცა მათ ყოფასა და ფოლკლორში ძველი ტრადიციები ჯერ კიდევ ცოცხლობს. წოვა-თუმები უნიკალური მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მცირე ეთნიკური ჯგუფი ინტეგრირდეს უფრო მრავალრიცხოვან (ამ შემთხვევაში ქართულ) საზოგადოებაში, მაგრამ მაინც შეინარჩუნოს თავისი კულტურული თვითმყოფადობის ელემენტები.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს წოვა-თუმებზე: თუ ვინ არიან ისინი? ადგილობრივი მოსახლეობაა თუ მიგრირებულნი არიან? ნამდვილად ჩრდილოეთ კავკასიიდან (ინგუშეთიდან) არიან მიგრირებულნი? როდის უნდა მომხდარიყო მათი მიგრაცია?.. სამეცნიერო წრეებში ყველაზე გავრცელებული თეორიაა, რომ წოვა-თუმები ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლდნენ, მაგრამ ქართული კულტურის ნაწილი გახდნენ.

მათი მიგრაციის ზუსტი დრო უცნობია, მაგრამ სავარაუდოდ, ეს შუა საუკუნეებში (X-XII საუკუნეებში) მოხდა.

დროთა განმავლობაში ბაცბები სრულად ასიმილირდნენ ქართველებთან და დღეს თავს თუმებად მიიჩნევენ.

საკვანძო სიტყვები: საფრთხეში მყოფი ენა; ეთნიკური და ენობრივი თვითკუთვნილება; ეთნიკური უმცირესობის ენა; საოჯახო ენა.

შესავალი. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის საყოველთაო აღწერის 2014 წლის მონაცემებით, მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური ქართველია და ისინი მოსახლეობის 86.2%-ს შეადგენენ, ხოლო მოსახლეობის 13,14 %-ი ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ.

ქართველების შემდეგ ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფია აზერბაიჯანელები (6,3%), გარდა ამისა, საქართველოში ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფები, როგორებიც არიან: სომხები, ოსები, აფხაზები, ბერძნები, უკრაინელები, რუსები, ასირიელები, ქურთები, იეზიდები, ებრაელები, ბოშები, ქისტები, ბეჟიტები, ხუნძები, ბაცბები, უდიები და სხვ.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებს გარკვეული ხარვეზები აქვს ენობრივი უმცირესობების მშობლიური ენის ფლობის დონის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

ამ მონაცემების მიხედვით, მშობლიურ ენას ვერ ფლობს ეთნიკურ უმცირესობათა 3,14%. ეს მაჩვენებელი ოპტიმისტურია, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ზოგი ენა იუნესკოს მიერ **საფრთხეში მყოფ ენადაა** კვალიფიცირებული, სახელმწიფოს მიზანია ამ ენათა შენარჩუნებისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარება (სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, 2021).

მოსახლეობის აღწერას ახლდა ენობრივი თვითიდენტიფიკაციის სირთულე, ბევრ რესპონდენტს გაუჭირდა ზუსტად განესაზღვრა, თუ რამდენად ფლობდა მშობლიურ ენას, განსაკუთრებით იმ ჯგუფებში, რომლებიც ორენოვან გარემოში ცხოვრობენ. აღწერაში არ ყოფილა სიღრმისეული შეფასება იმისა, თუ რამდენად აქტიურად იყენებენ უმცირესობათა ჯგუფები საკუთარ ენას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს საკითხი განსაკუთრებით ეხებოდა ისეთ მოწყვლად ჯგუფებს, როგორებიც არიან **ბაცბები (წოვა-თუშები), უდიები** და სხვა მცირე ეთნოსის ენები, რომელთა ენობრივი მდგომარეობა გაქრობის საფრთხის წინაშეა.

ენათა სიცოცხლისუნარიანობის საკითხებს და ენათა სტატუსს შეისწავლის იუნესკო რამდენიმე ფაქტორისა და კრიტერიუმის მიხედვით. იუნესკოს საფრთხეში მყოფი ენების ატლასში საქართველოს რამდენიმე ენა კლასიფიცირებულია, როგორც აშკარად ან სერიოზული საფრთხის ქვეშ მყოფ ენად. მათ შორისაა **ბაცბური (წოვა-თუშური)** ენა.

ჩემ მიერ წარმოებული სოციოლინგვისტური კვლევისა და იუნესკოს მიერ ენის სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან გამომდინარე, ბაცბური ენის გაქრობის უმთავრეს მიზეზებად გამოვყავი:

- **ენის თაობათაშორისი გადაცემის შეწყვეტა** – ახალგაზრდები ბაცბურ ენას აღარ/ვეღარ სწავლობენ.

- **ქართული ენის დომინანცია** – წოვა-თუშები ისტორიულად ინტეგრირდნენ ქართულენოვან საზოგადოებაში და ბაცბური მათი მხოლოდ წარსული იდენტობის ნაწილი გახდა.

- **დამწერლობის არარსებობა** – ბაცბური ენა უმწერლობო ენაა, რაც ხელს უშლის მის შესწავლასა და დოკუმენტაციას.

- **კულტურული ასიმილაცია** – წოვა-თუშებმა თავიანთი ტრადიციების ნაწილი შეინარჩუნეს, მაგრამ ენა პრაქტიკულად დავიწყებას მიეცა.

სანამ წოვა-თუშების წარმომავლობასა და მათ თუშეთში დასახლებაზე ვისაუბრებ, ჯერ მათი სახელწოდების წარმომავლობას შევხებით.

მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ საიდან მომდინარეობს სახელწოდება „თუში“. თავად თუშები და სხვა ყველა ქართველური ტომი მათ თუშებს უწოდებს, ლეკები „მოსუქებს“ ეძახიან, ქისტები კი „ზაცის“. ისტორიკოსების უმეტესობა იზიარებს აზრს, რომ „თუში“ შესაძლებელია მომდინარეობს ქისტური ღვთაება „თუშოლ“-ისაგან, რომელიც ნაყოფიერების ქალღმერთად ითვლებოდა და მას ეთაყვანებოდნენ არა მარტო ვაინახები, არამედ მეზობელი მთიელი ტომებიც.

ტერმინი ბაცური პირველად ახსენა აკად. ნ. მარმა, შემდგომ გამოიყენა აკად. არნ. ჩიქობავამ როგორც ლინგვისტური ტერმინი. საინტერესოა პეტრე უსლარის მსჯელობა ბაცების შესახებ. 1888 წელს გამოცემულ „Чеченский язык“-ში ის წერს: „ალაზნის სათავეებთან ცხოვრობენ თუშები, რომლებიც თავიანთ თავს ერთდროულად წოვა-თუშებსა და ბაცებს უწოდებენ. თუ პტოლემეოსის მიერ ნახსენები ტუსკები ნამდვილად თუშები არიან, მაშინ ნოხჩიებთან მათი განშტოება მოხდა დაახლოებით 18 საუკუნის წინ“ (Услар, 1888).

მკვლევარი გაიოზ ერადე თავის ნაშრომებში აღნიშნავს, რომ სახელწოდება „ბაცბი“ მიკეუთვნება „ზაზგი-ზასკი“ ჯგუფს, რომლებიც მრავალი საუკუნის წინ დასავლეთ საქართველოში, შავიზღვისპირა მხარეში იყვნენ დასახლებულნი და იცავდნენ საზღვარს ჩრდილოეთიდან, შემდეგ ისინი დაიშალნენ. მისივე განმარტებით, „ზაზგი-ზაზდი“ ტერმინები მომდინარეობდნენ „ზღვარი-ზღუდე“ სიტყვების ფუძიდან.

რაც შეეხება ტერმინ „წოვას“, ავთ. გარსევანიშვილის აზრით, ის ეთნოსის სახელთან კავშირში არაა. წოვათა, წოვათელი გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე მიგვანიშნებს ისევე, როგორც პირიქითა ხეობაში დასახლებულებს პირიქითელები ეწოდათ, გომეწარში-გომეწრელები, ჩაღმართში, ჩაღმართელი თუშები (გარსევანიშვილი, 2018).

მეთოდები. სტატია დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე. მასზე მუშაობის პროცესში და შედეგების გასაანალიზებლად დავიხმარე სოციოლინგვისტური კვლევის ძირითადი მეთოდები: ისტორიულ-კულტურული ფაქტორი, სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ინტერვიუ, ენობრივი დაკვირვება, კითხვარები...

საველე კვლევით ექსპედიციაში ვიმყოფებოდი 2022 წლის ოქტომბერში და 2024 წლის სექტემბერში სოფ. ზემო ალვანში, სადაც კომპაქტურად სახლობენ წოვა-თუშები. სოციოლინგვისტური კვლევების საწარმოებლად გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრების ანალიზი, რომელიც თავისთავად ეფუძნებოდა ანკეტირებისა და კითხვარების შევსებას. ასევე ვიწერდი ინტერვიუებს ადგილობრივ მოსახლეობასთან და ვაგროვებდი ფოტომასალას.

სოციოლინგვისტური კვლევის შედეგების ზუსტი ანალიზისთვის მოვახდინე მონაცემთა სისტემატიზაცია და გავითვალისწინე კვლევის დამხმარე ფაქტორები: რესპონდენტთა ასაკი, სქესი, კულტურული და სოციალური მახასიათებლები.

შედეგები და მსჯელობა. პირველი ისტორიული წყარო, სადაც თუშები არიან ნახსენები, არის ახალი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნის ბერძენი მოგზაურ-გეოგრაფის პტოლემეოსის ცნობა ტუსკების შესახებ: „კავკასიის მთას და კერვანის მთებს შორის (ცხოვრობენ) ტუსკები და დიდურები“. მეცნიერების აზრით, ტუსკები იგივე თუშები არიან.

წოვა-თუშების (ბაცების) ისტორიული სამშობლო უნდა ვეძებოთ დღევანდელ მთიან ინგუშეთში, კერძოდ, არმხი-ჯეირახის ხეობაში. იქ, სადაც დაირწა ქისტების წინაპართა აკვანი. თუ როდის გადმოსახლდნენ მთიანი ინგუშეთიდან წოვები თუშეთში, მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. ს. მაკალათია ეყრდნობა წოვათაში ჩატარებულ არქეოლოგიური გათხრების შემდეგ გაკეთებულ დასკვნას, რომელიც ადასტურებს, რომ აქ

ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში მოსახლეობა არსებობდა. სავარაუდოდ ეს ის პერიოდია, როდესაც წოვები ღლილვეთიდან თუშეთში გადმოსახლდნენ (მაკალათია, 1983).

მკვლევართა უმრავლესობა (ნ. მარი, ა. შანიძე, ს. მაკალათია, ა. გენკო და სხვ.), რომლებიც შეხებიან წოვა-თუშების ისტორიულ წარმომავლობას, იზიარებენ იმ აზრს, რომ თუშები ვაინახური ტომია, რასაც გვიდასტურებს ისტორიული, არქეოლოგიური, ლინგვისტური, ეთნოგრაფიული და სხვა სახის მასალები.

ზისერმანის ცნობით „...XIX საუკუნის 40-იან წლებში მთიანი თუშეთი იყოფოდა ოთხ თემად: წოვების ანუ ვადუა, გომეწრის, ჩაღმის და პირიქითა ანუ დამახქრაი, ამასთან წოვები და პირიქითელები წარმოშობით ქისტებად ითვლებოდნენ“.

ს. მაკალათიას აღწერით (მე-20 საუკუნის 80-იან წლებში), „წოვა-თუშები თავიანთ წოვურ ენაზე მეტყველებენ. მაგრამ მათ ენაში მრავალი სიტყვა ქართულიდან ნასესხები და შეთვისებულია. წოვები ოჯახებში წოვურად საუბრობენ. ბავშვები ენას წოვურით იდგამენ და შემდეგ სწავლობენ ქართულს. დღეს ეს სიტუაცია გარკვეულწილად შეცვლილია. ბებიების და ბაბუების თაობაში წოვური ყველამ იცის, შუა ასაკის წოვებმა მეტნაკლებად იციან და ბავშვების უმეტესობა მხოლოდ ქართულ ენაზე საუბრობს, ან მხოლოდ გაგების დონეზე ესმით წოვური ენა“.

დიდი ქართველი მეცნიერი — აკაკი შანიძე მიიჩნევდა, რომ ძველად თუშეთის ტერიტორიაზე მოსახლენი მეტყველებდნენ ვაინახურ ენაზე, კერძოდ, წოვურ დიალექტზე: „მე-18 საუკუნეში ქართული ენა თუშეთში ყველგან გავრცელებული იყო, მაგრამ წოვათის სოფლებს თავისი ენაც ჰქონდათ, რომელიც მათ კახეთში ჩამოსახლების შემდეგაც არ დაივიწყეს, თუმცა ქართულიც კარგად შეითვისეს და სხვა თუშებზე ნაკლებად არ იციან“.

ა. შანიძე ჩაღმა-თუშური დიალექტის შესწავლის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათ დიალექტში მრავლად მოიპოვება ისეთი ელემენტები, რომლებიც მოწმობს, რომ ერთ დროს მათი მამა-პაპანიც წოვა-თუშურად ლაპარაკობდნენ და შემდეგ თანდათან გადმოვიდნენ ქართულზე. „წერილობითი ისტორიული ცნობები თუშების შესახებ ცოტაა შემონახული და, რაც შემონახულია, არ არის შეკრებილი და ერთად გამოცემული, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ თუშეთის ისტორიული ამბები. რამდენადაც ვიცი, ისტორიულ წყაროებში არსად არ არის გარჩეული თუშები, ყველანი თუშებად იწოდებიან. „თუში საერთო სახელია ყველასი, ვინც თუშეთის ალაზნის ხეობაში ცხოვრობდნენ. ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 1682 წელს უნდა იყოს დაწერილი, ნათქვამია: „ერთობით თუშებისათვის, წოვასა და ჩაღმასათვის“ (შანიძე, 1970).

თუშების შესახებ საინტერესო ცნობები მოეპოვება რუს მეცნიერს, კავკასიათმცოდნეს ნ. ვოლკოვას. ვოლკოვა ხელთ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და მის მიერ მოპოვებული გადმოცემების საფუძველზე ასკვნიდა, რომ წოვა-თუშები ჩრდილოეთ კავკასიიდან, ინგუშეთიდან არიან გადმოსახლებულნი. ნ. ვოლკოვას მიერ ჩაწერილი გადმოცემებით, მათი გადმოსახლების მთავარი მიზეზი სარწმუნოება ყოფილა. მათ აიძულებდნენ ქრისტიანობის უარყოფას და ისლამის მიღებას. სხვა გადმოცემით, მათი საქართველოში წამოსვლის მიზეზი მწირმოსავლიანი და მცირე მიწები ყოფილა. ადგილს, საიდანაც ისინი გადმოსახლებულან, **ვაპი (ვაბი)** ეწოდებოდა.

ნ. ვოლკოვას ერთ-ერთ ჩანაწერში, რომელიც წოვებში ჩაუწერია, ვკითხულობთ: „წოვები ქართველები ვართ, მაგრამ წარმოშობით ქისტები და ენაც ქისტურის მონათესავეა. დღეისათვის წოვები თუშების ნაწილი ვართ, მაგრამ ჩვენ მოვედით დასავლეთიდან, ღალღას (ღალღასი) ქვეყნიდან“ (Волкова, 1974).

რაც შეეხება თუშების მთიდან ბარში ჩამოსახლების პროცესს, წოვების თუშები კახეთის ბარში პირველები ჩამოსახლდნენ. ისტორიულ წყაროებში მოსახლეობის აყრის რამდენიმე მიზეზია დასახლებული: 1830 წელს სოფელი საგირთა მეწყერმა წალეკა; მოსახლეობის ნაწილი შავმა ჭირმა იმსხვერპლა; თუშები მეცხვარეობის გამო

მომთაბარეობას ეწეოდნენ; ჩეჩნები ესხმოდნენ თავს. სამეცნიერო ლიტერატურაში მიგრაციის პერიოდის შესახებაც სხვადასხვა პერიოდია მითითებული. მათ შორის რეალობასთან ყველაზე ახლოს 1830 წელი მიაჩნიათ მეცნიერთა უმეტესობას.

რ. თოფჩიშვილის აზრით, საქართველოს ბარში ჩამოსახლებამდე, წოვა-თუშები უკვე ორენოვანნი იყვნენ. ამას ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონისა და გერმანელი მეცნიერის **გიულდენშტედტის** ცნობებიც. თუშეთში წოვა-თუშები ქართულ ენაზე მოლაპარაკე გარემოცვაში ცხოვრობდნენ. წოვა-თუშების ცხოვრება წარმოდგენილი იყო მათთან ურთიერთობის გარეშე. ამას მოწმობს ისიც, რომ წოვა-თუშებსა და დანარჩენ თუშებს ეთნოგრაფიული ყოფა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, მსგავსი აქვთ. მათი ურთიერთობა ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო, რადგან წოვების მეტყველებაში ლექსიკის 2/3 ქართულიდან შესულია, ამას კი ხანგრძლივი დრო დასჭირდებოდა. ისტორიკოსი აბრამ შავხელიშვილი წერს: „წოვა-თუშების მშობლიური ენა ყოველთვის ქართული იყო. ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს უზარმაზარი სულიერი ლიტერატურა, რომელიც ინახება სოფელ ალვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მოსახლეობა თანაბრად ლაპარაკობდა როგორც ქართულ, ისე წოვა-თუშურ ენებზე“ (შავხელიშვილი, 2001).

ზოგიერთი ლინგვისტის შენიშვნით (მ. ქურდიანი), წოვა-თუშური ენა სხვა ენაა, ის ინგუშურისაგან განსხვავდება. ამდენად, თუ წოვა-თუშების წინაპრები ინგუშეთის ჯარიახის ხეობაში ორი-სამი თაობის განმავლობაში ცხოვრობდნენ, მაშინ მათი ენა დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს ინგუშურისაგან. ამ შენიშვნის საპასუხოდ შეიძლება ითქვას, რომ ჯარიახის ხეობის მცხოვრები ინგუშების სალაპარაკო ენა განსხვავდებოდა დანარჩენ ინგუშთა მეტყველებისაგან. ამ განსხვავებას აღნიშნავდა პ. უსლარი. მისი სიტყვით, ყველა ვაინახი თავისუფლად უგებდა ერთმანეთს ჯარიახელების გარდა, რომლებიც სრულიად განსხვავებულ კილოზე საუბრობდნენ.

ჩამოსახლებულ წოვა-თუშთა შთამომავლები ამჟამად ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ **ზემო ალვანში** ცხოვრობენ, დაახლოებით 1600-1700 ადამიანი.

წოვა-თუშების გვარ-სახელების როგორც ძირები (ფუძეები), ასევე სუფიქსები ქართულია. ისინი ბოლოვდება - **ძე**, -**შვილი** და -**ურ** სუფიქსებით. თუმცა, წოვა-თუშები წოვა-თუშურ ენაზე საუბრის დროს, თავიანთ გვარებს თავისებურ ფორმას აძლევენ. ერთი ჯგუფი იწარმოება -**ღარ** ელემენტის დართვით, მეორე კი -**ურ** ელემენტს დაირთავს. ამ მეორე ჯგუფის გვარებს ბოლოში დაერთვის კიდევ -**ი** სუფიქსი, რომელიც მრავლობითობას გამოხატავს. მაგალითად, აფშინაშვილი წოვა-თუშურად არის აფშინა-ღარ, ჭრელაშვილი - ჭრელა-ღარ, შველაშვილი - შველა-ღარ, ვეშაგურიძე - ვეშაგურ-ღარ და სხვ. ლინგვისტების ახსნა-განმარტებით, -**ღარ** სუფიქსი კრებითობის, კუთვნილების გამოხატველია. მეორე რიგის გვარები წოვა-თუშურ ენაში იწარმოება —**ურ**, -**რ** (←**ურ**) ელემენტის დართვით. მაგალითად, მეოტიშვილი - მეოტ-ურ-ი, ქადაგიძე - ქადგ-ურ-ი, დინგაშვილი - დინგ-რ-ი, წოტოიძე - წოტ-რ-ი და ა.შ. -**ურ** სუფიქსს წოვა-თუშურ ენაში კ. ჭრელაშვილი ქართული ენის სუბსტრატად, ანუ ენობრივ დანაშრევად მიიჩნევს (ჭრელაშვილი, 2002).

თუშების (ბაცებების) მენტალიტეტი დღეს ქართულია, ისინი თავს ქართველებად თვლიან და მათი ვაინახობა მხოლოდ ისტორიულად თუ განიხილება. მაგრამ მეცნიერულად თუშების ვაინახურ წარმომავლობას გვერდს ვერ ავუვლით. თვითონ თუშებიც განასხვავებენ წოვა-თუშებს და ჩაღმა-თუშებს, რაც არანაირ გაუგებრობას და დაპირისპირებას არ ქმნის მათ შორის.

ენათმეცნიერ ბელა შავხელიშვილის შეფასებით, თვით წოვების ცნობიერებაში სხვა სამშობლო, გარდა საქართველოსი, არ არსებობდა და ამდენად, მათთვის ყველაზე ფასეული სწორედ მისი ინტერესების დაცვა იყო... ომების დროს თუშებისათვის პატრიოტიზმი ნიშნავდა სამშობლოს – საქართველოს – სადარაჯოზე დგომას, მისი საზღვრების დაცვას, მეფისა და სახელმწიფო მოხელეების ერთგულებას, მთიელთა შორის

ერთ-ერთი უძლიერესი ხალხის სახელის ღირსეულად ტარებას და ამ თვისებების შთამომავლობისთვის გადაცემას (შაველიშვილი, 2011).

ბ. შაველიშვილი თავის ნაშრომში „თანამედროვე ტენდენციები თუშების სამეტყველო კოდების შესახებ“ წერს: „დღემდე წოვათუშების კერიის მეტყველება მთის იბერიულ-კავკასიური ოჯახის ნახურ ჯგუფშია გაერთიანებული მათი ვაინახურთან ნაწილობრივი, ლექსიკურ-გრამატიკული ნათესაობის გამო. სინამდვილეში წოვათუშურში ვაინახური ფენა მხოლოდ 1/3 შეადგენს, 2/3 კი ქართულია (უფრო ძველი ქართული, არქაული ქართული). მეცნიერთა ნაწილი ქართულ ფენას თვლის ნასესხებად, უფრო ლოგიკური იქნება, სწორედ ვაინახური ნაწილი მივიჩნიოთ ნასესხებად“.

წოვა-თუშური ენა, ბაცბური ენა — ნახურ-დაღესტნურ ენათა ოჯახის ნახური ჯგუფის უმწერლობო ენა. მასზე ლაპარაკობენ საქართველოში ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანის მცხოვრები წოვა-თუშები. სამწუხაროდ, ის თანდათან კარგავს სათემო ენის როლს და სწრაფი ტემპით ხდება **განლევადი ე.წ. მინორიტარული ენა.**

საგრძნობია განსხვავება მოხუცებისა და ახალგაზრდების მეტყველებას შორის, შეინიშნება მცირე სხვაობა სოფლის სხვადასხვა უბანში. თანამედროვე ბაცბური ენა განიცდის ქართული ენის ძლიერ გავლენას.

როგორც აღვნიშნე, წოვა-თუშური (ბაცბური) ენა უმწერლობო ენაა. პირველად **დეშერიევის** ნაშრომებში გვხვდება ბაცბური სიტყვების ჩასაწერად გამოყენებული ტრანსკრიფცია, კირილიცაზე დაფუძნებული ჩეჩნურ-ინგუშური ანბანი დამატებითი ნიშნებით.

კ. ჭრელაშვილის 1999 წლის სტატიაში გამოყენებულია ტრანსკრიფცია, რომელიც თითქმის იდენტურია დეშერიევის მიერ გამოყენებული ტრანსკრიფციისა. ბაცბური ენისათვის ამჟამად გამოიყენება ქართული ანბანი, დიაკრიტიკული ნიშნების დამატებით.


ქართველი ეთნოგრაფი, ეთნოლოგი და ისტორიკოსი რ. თოფჩიშვილი წოვა-თუშების ეთნოგრაფიული შეფასებისას პარალელს ავლებს სვანებთან და მეგრელებთან, როგორც ქართული ეთნოსის ხალხთან. „...საქართველოში ქართულის გარდა სხვა ქართველური ენებიც, მეგრული და სვანური, არსებობს. მათ თანაარსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. მაგრამ საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე მეგრელებისთვისაც, სვანებისთვისაც, დვალელებისთვისაც (ისინი ცენტრალური კავკასიონის მთებში ცხოვრობდნენ. მეცნიერთა ვარაუდით, დვალელებსაც საკუთარი საოჯახო მეტყველება ჰქონდათ, რომელიც სვანურსა და ზანურს შორის იდგა და მეტ სიახლოვეს ზანურთან იჩენდა) და წოვა-თუშებისთვისაც ქართული ენა იყო სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენა. ამ ენებს სათანადო წვლილი შეჰქონდათ ქართული ენისა და კულტურის განვითარებაში. შეიძლება ვთქვათ, დასახელებული ეთნოგრაფიული ჯგუფები უფრო მჭიდროდ იყვნენ ერთიან ქართულ კულტურასთან, ეკონომიკასთან, სოციალურ სისტემასთან ინტეგრირებულნი, ვიდრე სალიტერატურო ენასთან უფრო ახლოს მდგომი ზოგიერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი. ისინი თავიანთი ეთნოგრაფიული ნიშნით და თვალსაზრისით თითქმის არაფრით განსხვავდებიან ქართველთა სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფებისაგან. ბაცბების თავისებურება მხოლოდ ენობრივ სიტუაციაში მდგომარეობდა“ (თოფჩიშვილი, 2010).

დასკვნები. 2014 წლის აღწერის მიხედვით, ზემო ალვანში 3 306 ადამიანი ირიცხება. Unesco-ს 2010 წლის მონაცემებით წოვა-თუშურ ენაზე დაახლოებით 500 ადამიანი საუბრობს. თუმცა 2022 წელს ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვისას და საუბრისას გაირკვა, რომ ამ ენაზე მოსაუბრეთა რიცხვი დაახლოებით 300-400 ადამიანია. შესაძლებელია ამის საფუძველი მიგრაციაშიც ვეძებოთ, რადგან მოლო 10 წლის განმავლობაში მიგრაციულმა პროცესებმა საგრძნობლად იმატა სოფელში.

წოვათუშები არიან ბილინგვალები. ზემო ალვანში შერეული ოჯახები მრავლადაა. სოფელში მცხოვრები 3 306 ადამიანიდან ყველასთვის არ არის ბაცბური მშობლიური ენა, ხოლო ამ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის უმეტესობა 50 წელს გადაცილებულია. ზემო ალვანის საჯარო სკოლა ქართულენოვანია. ბაცბური ენა სკოლაში არ ისწავლება, განსხვავებით საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური უმცირესობების ენებისა.

წოვა-თუშური ენის სოციალური სტატუსი საგრძნობლადაა შესუსტებული. უმეტეს შემთხვევაში ამ ენას აქვს **საოჯახო ენის სტატუსი** და ყველა დანარჩენ შემთხვევაში ქართული ენა დომინანტობს: სწავლა-განათლების, ტელე-რადიო მაუწყებლობის, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის, ოფიციალურ საქმისწარმოებასა თუ სამართალწარმოებაში. ბაცბური საოჯახო ენის სტატუსსაც თანდათან კარგავს, რასაც აშკარად აჩვენებს რესპონდენტთა პასუხები: მათი 75% ოჯახში საუბრობს მხოლოდ ქართულ ენაზე, 10% — ბაცბურ ენაზე, ხოლო 15% თანაბრად იყენებს ქართულ და მშობლიურ ენებს (იხ. სურათი 1).

სურათი 1.




ენათა სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თაობათა შორის ენის გადაცემა, რისი მიზეზებიც გეოპოლიტიკურ, დემოგრაფიულ, სოციალურ პროცესებში უნდა ვეძებოთ. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დემოგრაფიულ ცვლილებებს, რამაც საფრთხე შეიძლება შეუქმნას მწიგნობრულ (სახელმწიფო) ენასაც. „საფრთხეები“ მხოლოდ მცირერიცხოვანი ეთნოსების ენებს არ ეხება. შეიძლება სამწერლობო, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ენაც დადგეს ამა თუ იმ საფრთხის წინაშე ისტორიის გარკვეულ ეტაპზე.

ჩემ მიერ ჩატარებული 2022 და 2024 წლის სოციოლინგვისტური კვლევის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თაობათა შორის გადაცემის ფაქტორი ყველაზე ცუდად მოქმედებს ბაცბური ენის ვიტალურობის მაჩვენებელზე.


სოციოლინგვისტური კვლევის დასკვნების საფუძველზე გამოიკვეთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: რესპონდენტთა უმეტესობა მშობლიურ ენად ასახელებს ქართულ ენას. სოფლის მოსახლეობის 100% სრულყოფილად ფლობს ქართულს. სამწუხაროდ, რესპონდენტთა 50% საერთოდ ვერ ფლობს ბაცბურს, 15% — საშუალო დონეზე, 25% —

ცუდად (იგულისხმება გაგების დონე), მხოლოდ 10% ფლობს მშობლიურ (წოვა-თუშურ) ენას თავისუფლად. მათი უმეტესობაც 50 წელს გადაცილებულია. ეს განპირობებულია იმით, რომ ზემო ალვანში შერეული ოჯახებია, მათი უმრავლესობა შინ თუ გარეთ სასაუბრო ენად ქართულს იყენებს (იხ. სურათი 2 და 3).

სურათი 2. იმ რესპონდენტთა მონაცემები, რომლებიც ქართულს მიიჩნევენ მშობლიურ ენად.




სურათი 3. რესპონდენტები, რომლებიც წოვა-თუშურს მიიჩნევენ მშობლიურ ენად.



წოვა-თუშური (ბაცბური) ენა კარგავს, როგორც საოჯახო ენის, ისე თემში, სოფელში საკომუნიკაციო ენის სტატუსსაც. ამას თვალნათლივ აჩვენებს რესპონდენტთა პასუხები. გამოკითხულთა 80% თემში, უბანსა და სოფელში საურთიერთო ენად მხოლოდ ქართულს იყენებს, 15% — ქართულ-ბაცბურ ენებზე საუბრობენ თემში, მხოლოდ 5%-ისთვის არის წოვა-თუშური თემში გამოსაყენებელი ენა. ეს 5%, უკლებლივ ყველა, 60 წელს გადაშორებული რესპონდენტები იყვნენ (იხ. სურათი 4).

სურათი 4. იმ რესპონდენტთა მონაცემები, თუ რომელ ენაზე საუბრობენ ოჯახში



დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საუკუნეთა მანძილზე მოხდა წოვა-თუმების კულტურული უნიფიკაცია და ქართული იდენტობის გაძლიერება, წოვა-თუმები ქართულენოვან საზოგადოებაში სრულად ინტეგრირდნენ. დროთა განმავლობაში, მათი „ბაცბური იდენტობა თუშურ იდენტობაში“ გადანაცვლდა. ენის დაკარგვასთან ერთად, ზოგიერთი უნიკალური ტრადიცია, სიტყვა და სახელწოდებაც დავიწყებას მიეცა.

ისტორიული მეხსიერების დასუსტება გამოიწვია დამწერლობის არარსებობამ, ბაცბურ ენას არ ჰქონდა საკუთარი ანბანი. რადგან ენა წერილობით არ ფიქსირდებოდა, მისი სწავლა მხოლოდ ზეპირი გადმოცემით შეიძლებოდა. ამან ხელი შეუშალა მის დოკუმენტირებას, ლექსიკონების შექმნას და მომავალ თაობებზე გადაცემას. დღეს ბაცბურის მხოლოდ ფრაგმენტული ჩანაწერები არსებობს და მისი სრულფასოვანი აღდგენა შეუძლებელია.

ამჟამად წოვა-თუშურ ენას გაქრობა ემუქრება. ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი ამ ენაზე არ/ვერ საუბრობს. მიუხედავად არაერთი ღონისძიებისა, რომელსაც ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფო, ბაცბური ენის განღვადობის/გაქრობის პროცესი თითქმის შეუქცევადი ხდება.

ბაცბური ენის გაქრობა და მისი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილობრივი დაკარგვა ინტეგრაციისა და ასიმილაციის პროცესების კლასიკური მაგალითია. თუმცა, წოვა-თუმების უნიკალური იდენტობა მაინც შენარჩუნდა გარკვეულ კულტურულ ელემენტებში, მაგალითად, ფოლკლორსა და ზეპირ გადმოცემებში.

ამგვარად, წოვა-თუშები წარმოადგენენ საინტერესო მაგალითს ეთნოკულტურული სინთეზისა, სადაც ქართული და ჩრდილოკავკასიური გავლენები ერთმანეთს ერწყმის. მათი ეთნიკური იდენტობა დიდწილად შერწყმულია საერთო ქართულ იდენტობასთან, თუმცა ისინი მაინც ინარჩუნებენ საკუთარ ტრადიციებსა და კულტურულ თვითმყოფადობას.

თანამედროვე ლინგვისტებს ისღა დარჩენიათ, რომ აწარმოონ ბაცბური მასალების დოკუმენტირება და კვლევა; წოვა-თუშური კულტურის ფოლკლორული მემკვიდრეობის

დაცვა; მათი უნიკალური ისტორიის პოპულარიზაცია განათლებისა და მედიის საშუალებით.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- გარსევანიშვილი, ა. (2018). *რატომ არიან წოვები თუშები*. თბილისი: საარი.
- თოფჩიშვილი, რ. (2010). *საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია*. თბილისი: უნივერსალი.
- მაკალათია, ს. (1983). *თუშეთი*. თბილისი: ნაკადული.
- სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. (2021). *სახელმწიფო ენის სტრატეგია (ერთიანი პროგრამა) 2021-2030*. თბილისი. გვ. 65-67.
- შავხელიშვილი, ა. (2001). *თუშები, წოვა-თუშების ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა*. თბილისი: მეცნიერება.
- შავხელიშვილი, ბ. (2011). *წოვა-თუშები ქართულ სოციოკულტურულ სამყაროში*. სპეკალი.
- შანიძე, ა. (1970). *თუშები*. *მნათობი*. № 2, 7-8.
- ჭრელაშვილი, კ. (2002). *წოვა-თუშური ენა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Волкова, Н. (1974). *Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII–начале XX века*. Москва: Наука.
- Услар, П. К. (1888). Чеченский язык. В П. К. Услар, *Этнография Кавказа. Языкознание*. II. pp. 1-3. Тифлис: издание управления кавказского учебного округа.

REFERENCES

- garsevanishvili, a. (2018). *rat'om arian ts'ovebi tushebi [Why are the Tsovs Tushes?]*. Tbilisi: Saari.
- topchishvili, r. (2010). *sakartvelos etnografiya/etnologia [Ethnography/Ethnology of Georgia]*. Tbilisi: Universali.
- mak'alatia, s. (1983). *tusheti [Tusheti]*. Tbilisi: Nakaduli.
- sakhelmts'ipo enis dep'artament'i [Department of the State Language]. (2021). *sakhelmts'ipo enis st'rat'egia (ertiani p'rograma) 2021-2030 [Unified State Language Program (Strategy) 2021-2030]*. Tbilisi. pp. 65-67.
- shavkhelishvili, a. (2001). *tushebi, ts'ova-tushebis ist'oriul-etnografiuli k'vleva [Tush, Tsova-Tush Historical and Ethnographic Research]*. Tbilisi: Metsniereba.
- shavkhelishvili, b. (2011). *ts'ova-tushebi kartul sotsiok'ult'urul samqaroshi [Tsova-Tush in the Georgian Sociocultural World]*. *sp'ek'ali [Spekali]*.
- shanidze, a. (1970). *tushebi [Tush]*. *mnatobi [Mnatobi]*. № 2, 7-8.
- ch'relashvili, k'. (2002). *ts'ova-tushuri ena [Tsova-Tush Language]*. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
- Volkova, N. (1974). *Jetnicheskij sostav naselenija Severnogo Kavkaza v XVIII–nachale XX veka [Ethnic composition of the population of the North Caucasus in the 18th–early 20th centuries]*. Moscow: Nauka.
- Uslar, P. K. (1888). Chechenskij jazyk [Chechen language]. In P. K. Uslar, *Jetnografija Kavkaza. Jazykoznanie [Ethnography of the Caucasus. Linguistics]*. II. pp. 1-3. Tiflis: Publication of the Administration of the Caucasian Educational District.